

საიდ. №73617/03

გ ა დ ა ო რ ე ტ ი ლ ე ბ ა №202-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ქემაშვილი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“-ის სააპელაციო საჩივარი (საიდ. №202-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 04 სექტემბრის №1221/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც კომპანია ოლო ფირმა „დისნა“-ს სახელზე დაჩქარებული წესით დარეგისტრირდა საქართველოში სასაქონლო ნიშანი „KARTUWINE“ (საიდ. №73617/03) 33-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვლისათვის (33-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, აპელანტი მიიჩნევს, რომ რეგისტრირებული

კომბინირებული სასაქონლო ნიშანი №24011 არაგანმასხვავებელუნარიანია და აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, რადგან ის შეიცავს ისეთ გამოსახულებას და სიტყვიერ აღნიშვნას "KARTUWINE", რომლებიც მიანიშნებენ საქონლის მხოლოდ სახეობაზე, თვისებასა და წარმოშობაზე. აპელანტის პოზიციით, კომპანია „დისნას“ სახელზე რეგისტრირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნის, რომელიც შედგება ერთმანეთისაგან დაშორებული სხვადასხვა ზომის ორი მართკუთხედისაგან და ზედა მართკუთხედში გამოსახული მზის სტილიზებული ფიგურისაგან, რომელიც შედგება ვახის ფოთლებისა და ამ ფოთლებში მოთავსებული ყურძნის მტევნებისაგან, არაგანმასხვავებელუნარიანი და აღწერილობითია ღვინისათვის და ყურძნისაგან წარმოებული სხვა ალკოჰოლიანი სასმელებისათვის, რადგან მზის სტილიზებული სახით შესრულებული ეს გამოსახულება პირდაპირ მიანიშნებს სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელზე. აპელანტის მითითებით, მზის გამოსახულება უძველესი დროიდან მოყოლებული ითვლება მოსავლის სიმბოლოდ. ამიტომ მთლიანობაში სადავო ფიგურა აშკარად მიანიშნებს ვაზზე, ყურძენზე, მის მოსავალზე და მისგან დამზადებულ ნაწარმზე, ანდა საყოველთაო პრაქტიკიდან გამომდინარე მიჩნეულია ასეთ სიმბოლოდ. აპელანტის განმარტებით, ფიგურის ქვემოთ მოთავსებულია ლათინური შრიფტით შესრულებული სიტყვიერი აღნიშვნა "KARTUWINE", რომელიც სასაქონლო ნიშანში შეტანილია დაუცველი ნაწილის სახით, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ჩაწერის თავისებურებიდან გამომდინარე ფანტაზიურ სიტყვად აღიქმება, განცხადებული საქონლის მიმართ აღწერილობით ხასიათს ატარებს. აპელანტის მითითებით, არსებობს მრავალი პუბლიკაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ მზის სიმბოლო ეს არის ხვავისა და ბარაქის სიმბოლო ძველ საქართველოში. შესაბამისად არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 04 სექტემბრის №1221/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც კომპანია ოლო ფირმა „დისნას“-ს სახელზე დაჩქარებული წესით დარეგისტრირდა საქართველოში სასაქონლო ნიშანი „KARTUWINE“ (საიდ. №73617/03) 33-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვლისათვის.

მოწინააღმდეგე მხარე კომპანია ოლო ფირმა „დისნა“ არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, ოლო ფირმა „დისნა“-ს სასაქონლო ნიშანზე, რომელიც შეიცავდა მზის სტილიზებულ გამოსახულებას სააპელაციო პალატის მიერ განხილულ იქნა და შპს „ტიფლისი ვინნი პოგრებ“-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა (გადაწყვეტილება №97-03/13). მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, რაც შეეხება სიტყვიერ აღნიშვნას „KARTUWINE“, ანალოგიური საჩივარი იყო განხილული საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში სასაქონლო ნიშანზე №23469 „KARTULI WINE“ (გადაწყვეტილება №119-03/13) და შპს „ტიფლისი ვინნი პოგრებ“-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოწინააღმდეგე მხარე ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 04 სექტემბრის №1221/03 ბრძანების ძალაში დატოვებას და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, შესაგებელი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიიჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი და მასზე არსებული მზის გამოსახულება არ წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან და აღწერილობით ნიშანს 33-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, რადგან განცხადებული

სასაქონლო ნიშანი, კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს წარმოადგენს და სიტყვიერი აღნიშვნის „KARTUWINE“ გარდა შეიცავს მზის გამოსახულებას, რომელიც ირგვლივ გარშემორტყმულია ვაზის ფოთლებითა და ყურძნის მტევნებით. აღნიშნული გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი არ აღწერს 33-ე კლასის საქონელს, რადგან იგი პირდაპირ არ მიუთითებს საქონლის სახეობაზე. ესა თუ ის სასაქონლო ნიშანი, რომ მივიჩნით აღწერილობითად განცხადებული საქონლის მიმართ ის უნდა შედგებოდეს მხოლოდ და მხოლოდ აღწერილობითი სიმბოლოებისგან, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, რადგან მოცემული გამოსახულება არ შეიცავს მხოლოდ ყურძნის მტევანსა და ფოთოლს, არამედ იგი შეიცავს მზის გამოსახულებას, რომელიც არ უკავშირდება 33-ე კლასით განცხადებულ საქონელს და ფანტაზიური სიმბოლოა აღნიშნული საქონლის მიმართ. კოლეგია ვერ გაიზიარებს ასევე აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მზის გამოსახულება ძველი დროიდან ითვლება მოსავლის სიმბოლოდ, რის გამოც მთლიანობაში სადავო ფიგურა აშკარად მიანიშნებს ვაზზე, ყურძენზე და მის მოსავალზე ანუ ნაწარმზე, ან საყოველთაო პრაქტიკიდან გამომდინარე მიჩნეულია ასეთ სიმბოლოდ. კოლეგიას მიაჩნია, რომ მზე პირდაპირ არ მიანიშნებს მოსავალზე და მომხმარებლისთვის ის არანაირად არ ასოცირდება უშუალოდ მოსავალზე ან ღვინოსთან, მით უფრო რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებულ პროდუქციას წარმოადგენს ზოგადად ალკოჰოლური სასმელები. კოლეგია მიაჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში რეგისტრირებული სტილიზებული შესრულებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ფანტაზიურ ნიშანს 33-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და ის განმასხვავებელუნარიანია აღნიშნული კლასის საქონლის მიმართ და ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს აღწერილობითად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „KARTUWINE“ (საიდ. №73617/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა ო ო გ ე რ ა :

1. შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 04 სექტემბრის №1221/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ქემაშვილი

წევრები:

ი. გიქორაშვილი

დ. ჭიჭინაძე